ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

ბრძანება:**ბ48.482228316**
თარიღი:**10/10/2022**

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირების

შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტისა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 07 ოქტომბრის N1/1-5772 ბრძანების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდეს, ქალაქ წყალტუბოში, ეგნატე ნინოშვილის ქუჩის I შესახვევი, N1-ში მდებარე 1368.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობა: N1 (მიწის(უძრავიქონების) საკადასტრო კოდი N29.08.31.525).

2. ეთხოვოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად დაარეგისტრიროს ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ქონება.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს (უფროსი მ. კანკაძე).

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი კუპრაძის ქ. №11) კანონით დადგენილი წესით.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

22127454б

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ N25 ( +995) 595 95 90 72 ელ. ფოსტა: TSKALTUBO1@GMAIL.COM